



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020137652123420

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 490/ს

11 / მაისი / 2020 წ.

შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ზე (ს/კ 404921448) გაცემული სასარგებლო წიალისეულის მოპოვების N 1000455 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 12 თებერვლის N 177/ს ბრძანების საფუძველზე დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ზე (ს/კ 404921448) გაცემული სასარგებლო წიალისეულის მოპოვების (N 1000455) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად დაედო სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2020 წლის 24 იანვრის N 166 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე და დაყენებულ იქნა ლიცენზიის გაუქმების შუამდგომლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარის, შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ბრძანების გამოცემისთანავე სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილ იქნა 2020 წლის 14 თებერვალს N 22/1005 კორესპონდენცია, რომლითაც მოხდა მხარის ინფორმირება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და გაეგზავნა სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 12 თებერვლის N 177/ს ბრძანება. მხარეს მიეცა წინადადება, წარმოედგინა საკუთარი წერილობითი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით ზეპირი მოსმენის სხდომა ჩანიშნული იყო 2020 წლის 27 თებერვალს. კორესპონდენცია ორჯერ იქნა გაგზავნილი, თუმცა ვერ მოხერხდა მისი ჩაბარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გაიზარდა წარმოების ვადა და ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 05 მაისს, რომლის თაობაზეც წინასწარ 2020 წლის 30 აპრილს მხარისათვის გაგზავნილ იქნა N 22/2614 კორესპონდენცია ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართზე, ასევე ელ-ფოსტაზე zgabisonia@gmail.com.

სხდომას ესწრებოდა შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს დირექტორი დავით მაღლაკელიძე. მხარემ განმარტა, რომ კომპანიის მიერ ჩატარებულ იქნა სერიოზული სამუშაოები. თუმცა, შემდგომში კომპანიამ ვეღარ განახორციელა მოქმედებები იქიდან გამომდინარე, რომ მირაბილიტზე - სოდიუმ-სულფატზე ფასი საგრძნობლად შემცირდა. ასევე ვერ მოხერხდა ფასის ნაწილში შეთანხმება გაზის მომწოდებელ კომპანიასთან. მან ითხოვა სალიცენზიო პირობების შეცვლა და დახმარება სახელმწიფოსგან.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, იურიდიული სამსახურის მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც შემდგომ მიეცა სამართლებრივი შეფასება.

კერძოდ:

- შპს „მირაბილიტი მაინინგი“ (ს/კ 404921448) ფლობს სასარგებლო წიალისეულის მოპოვების #1000455 ლიცენზიას საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კრასნოგორსკის მიმდებარე ტერიტორიაზე აზამბურის ჯგუფის მირაბილიტის საბადოების შესწავლა-მოპოვების მიზნით.

- შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 14 მარტის #13/167 ბრძანებით კომპანიას განესაზღვრა შემდეგი ვალდებულებები: ლიცენზიის გაცემიდან 30 თვის ვადაში - 2014 წლის 14 სექტემბრამდე შეესწავლა რესურსი და

დასამტკიცებლად წარმოედგინა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში, 2012 წლის სექტემბრის თვეში დაეწყო და 2014 წლის ბოლოსთვის დაესრულებინა ლიცენზიით გათვალისწინებული წიაღისეულის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, დაესაქმებინა ადგილობრივი მოსახლეობა (არანაკლებ 30 კაცი) და აღნიშნული სალიცენზიო პირობების შესასრულებლად 2014 წლის ბოლომდე განეხორციელებინა 3 000 000 ლარის ინვესტიცია.

- აღნიშნული სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმების მიზნით 2018 წლის 17-18 ივლისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა #1000455 ლიცენზიის ადგილზე დათვალიერება/შესწავლა. ადგილზე შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სალიცენზიო ტერიტორიაზე არ იყო ჩატარებული არანაირი სამუშაოები, არცერთ უბანზე არ შეინიშნებოდა მირაბილიტის მოპოვების ან მოპოვების წინა სამუშაოების ჩატარების კვალი. აღნიშნულ დარღვევაზე 2018 წლის 16 აგვისტოს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #000810 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 13 ნოემბრის #4/363-2018 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

- გარდა ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობებისა, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა სააგენტოში წარმოადგინოს მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი, ხოლო, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 აპრილისა წარმოადგინოს წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში. შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მიერ 2018 წლის 1 დეკემბრამდე არ იქნა წარმოდგენილი 2019 წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი, აღნიშნულ დარღვევაზე, 2019 წლის 29 იანვარს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #000957 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის #4/1170-19 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, #000075 ადმინისტრაციული მიწერილობით კომპანიას განესაზღვრა მიწერილობის ჩაბარებიდან 15 კალენდარული დღის ვადა 2019 წლის სამუშაო გეგმა-ბიუჯეტის წარმოსადგენად. შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მიერ ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული მოთხოვნა არ იქნა შესრულებული მიწერილობით განსაზღვრულ ვადაშიც, შესაბამისად, 2019 წლის 23 სექტემბერს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #001883 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 ნოემბრის #4/10306-19 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით. ამასთან, შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მიერ 2019 წლის 01 აპრილამდე არ იქნა წარმოდგენილი წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში. აღნიშნულ დარღვევაზე, 2019 წლის 02 მაისს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #001083 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 31 ივლისის #4/4766-19 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ასევე, ლიცენზიის მფლობელის მიერ მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტის წარმოდგენის ვალდებულება არც 2019 წლის 01 დეკემბრამდე იქნა შესრულებული.

- ამასთან, შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მიერ, 2019 წლის 01 აპრილიდან 01 მაისამდე პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში, აღნიშნულ დარღვევაზე 2019 წლის 04 ივლისს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #001763 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს #4/8661-19 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

- წიაღის ეროვნული სააგენტოს შექმნამდე სალიცენზიო პირობების მაკონტროლებელი ორგანოს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მიმართ შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: 2012 წლის 10 ოქტომბერს შედგენილ იქნა #000094 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი წიაღისეულის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაწყების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2012 წლის 26 ოქტომბრის #4/3470-12 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ დაჯარიმდა 500 ლარით. კომპანიას ადმინისტრაციული მიწერილობით განესაზღვრა ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად და მიწერილობით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, 2013 წლის 03 დეკემბერს შედგენილ იქნა #001289 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹ მუხლის შესაბამისად, 2013 წლის 17 დეკემბრის #4/9596-13 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ დაჯარიმდა 1500 ლარით. 2015 წლის 06 აგვისტოს შედგენილ იქნა #018089 ოქმი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო, 2015 წლის 05 ოქტომბრის დადგენილებით კომპანია დაჯარიმდა 500 ლარით. ასევე, 2015 წლის 31 დეკემბრამდე მომავალი წლის გეგმა-ბიუჯეტის წარმოუდგენლობის გამო 2016 წლის 08 თებერვალს შედგენილ იქნა #025441 ოქმი, 2016 წლის 01 აპრილის #4/927-16 დადგენილებით შპს „მირაბილიტი მაინინგი“ დაჯარიმდა 500 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის არაერთგზის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი, კომპანიის მხრიდან არცერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა და დაჯარიმებების შემდგომ არცერთი სალიცენზიო პირობა არ იქნა შესრულებული. შესაბამისად, კიდევ ერთი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ან გონივრული ვადის განსაზღვრა სალიცენზიო პირობის შესასრულებლად, აშკარაა, რომ ვერ დააყენებს შესაბამის შედეგს. ასევე, დადასტურებულია ფაქტობრივი გარემოება, რომ კომპანიას არ უწარმოებია ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს როგორც წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ადგილზე განხორციელებული შემოწმება, ასევე, კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გავლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესწავლის ვადის გასვლის მიუხედავად, კომპანიას არ წარმოუდგენია მარაგების ანგარიში, არ დაუწვია წიაღისეულის მოპოვება, შესაბამისად, ვერ იქნება უზრუნველყოფილი წიაღით რაციონალური სარგებლობა.

ამასთან, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 14 მარტის #13/167 ბრძანების 1 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოუდგენლობა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.


ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დასტურდება კომპანიის უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში. აშკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელის კვლავ დაჯარიმებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი შედეგი, ვინაიდან, ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომაც, კომპანიას არ შეუსრულებია არცერთი სალიცენზიო პირობა. შესაბამისად, სახეზეა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის გაუქმების საფუძველები.

ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N 1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მირაბილიტი მაინინგი-ზე“ მირაბილიტის საბადოების შესწავლა მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 14 მარტის N 13/167 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N 1000455;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N 2).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი



მაია ზავრაშვილი